ოქმი:**ო63. 6324362001**
თარიღი:**27/12/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა , შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებული კომისიების რიგგარეშე

სხდომა

ოქმი N19

ქ. სამტრედია 23 დეკემბერი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 23 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, კომისიათა გაერთიანებული რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, გოჩა არველაძე, ჯონი ახობაძე, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, ბექა თევზაძე, აკაკი მინაშვილი, ვაჟა სტურუა, გიორგი ლეჟავა, ლაშა გრიგოლია, ნათია პაპავა, ლელა ჩორგოლაშვილი, ტარიელ დვალიშვილი, გივი ჯულაყიძე.

მოწვეული სტუმრები: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ლევან ახობაძე.

დღის წესრიგი

1.,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებასი ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (14) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთავ კომისიის წევრთა (14) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-62243583 23/12/2024წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335917 განკარგულებაში შესატან ცვლილებებს კორექტირებულს, კერძოდ

შემცირდეს:

„სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარებები“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 700 ლარით შესაბამისად

გაიზარდოს: „დედათა დაბავშვთა დახმარება“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 700 ლარით:

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებულ კომისიათა წევრთა (14) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-622434745 12/12/2024წ. წერილობითი მომართვა. საკითხი ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებასი ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ;

გაიზარდა - შემცირდა

მუხლობრივი ცვლილებები:

- 06 02 04 კოდი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდეს 0.7 ათ. ლარით შესაბამისად გაიზარდოს 06 02 03 კოდი დედათა და ბავშვთა დახმარების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 0,7 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებულ კომისიათა წევრთა (14) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

სხდომის მდივანი: / ლია ყურულაშვილ

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/